თერჯოლის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს
სხდომის ოქმი N2

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

06 ივნისი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი ბარათაშვილი**
სხდომას ესწრებოდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს **წევრები:**

1.ნინო ჩხიკვაძე 2. დავით გოგბერაშვილი 3. ნინო დოლაკიძე 4. ბიძინა ბუცხრიკიძე 5. თემურ ქოჩიაშვილი 6. რუსუდან კოვზირიძე 7. გოჩა ვერულაშვილი 8. იზა მაგრაქველიძე 9. თამარ ახვლედიანი 10. ნინო მახათაძე 11. ნატალია ასათიანი 12. დიანა ფოცხველაშვილი

სხდომას არ ესწრებოდა: გრიგოლ გიორგაძე, ალექსანდრე ზანკალიანი, ბადრი ბუცხრიკიძე, შალვა ჭანკვეტაძე, გოჩა ვერულაშვილი, კახა ბუცხრიკიძე, ნინო ოქრუაძე, ელისო მურადაშვილი, ქეთევან შეყრილაძე, მაია თორთლაძე.
სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული **სტუმრები:** ავთანდილ ურიადმყოფელი და დათო ლილუაშვილი

საბჭოს წევრთა **სრული** შემადგენლობა: 22 წევრი.
დამსწრე საბჭოს **წევრთა** რაოდენობა: 13 წევრი.

სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ბარათაშვილმა** საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 სამოქმედო გეგმის შესრულების ვადების განსაზღვრა.**

/მომხსენებელი: **გიორგი ბარათაშვილი**/

2. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭის სამოქმედო გემის განსახორციელებლად საბიუჯეტო თანხების მობილიზება და განსაზღვარა.**

/მომხსენებელი: **გიორგი ბარათაშვილი**/

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით

გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1. **მოისმინეს:** მომხსენებელმა **გიორგი ბარათაშვილმა** გენდერული თანასწორობის საბჭოს **წევრებს** სამოქმედო გეგმის საქმიანობის და საქმიანობის ინდიკატორის შესრულების ვადების შესახებ მიმართა საბჭოს **წევრებს.**

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, ნატალია ასათიანმა, ნინო ჩხიკვაძემ

რუსუდან კოვზირიძე: იმსჯელა იმ საქმიანობის შესახერბ რომელიც განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის მიხედვით და აღნიშნა, რომ საჭიროა ზუსტად გაითვალოს დროში საქმიანობები შესაბამისი ინდიკატორების მიხედვით

ნინო ჩხიკვაძე: საბჭოს წევრებს გააცნო სამთავრობო წევრებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს თუ რა მოთხოვნები და მიმართულებები უნდა ქონდეს საბჭოს საქმიანობას.

ნატალია ასათიანი: აღნიშნა, რომ საჭიროა გადამზადება და გარკვეულ საკითხებში უფრო ღრმად ჩახედვა, რადგან უკეთ მოვახდინოთ ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

2. **მოისმინეს:** მომხსენებელმა გიორგი ბარათაშვილმა მიმართვა მოწვეულ სტუმრებს ავთანდილ ურიადმყოფელს და დათო ლილუაშვილს რომ მოხდეს ბიუჯეტიდან გარკვეული თანხების გამოყოფა გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის შესასრულებლად.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ ურიადმყოფელმა, თემური ქოჩიაშვილმა, გოჩა ვერულაშვილმა.
ავთანდილ ურიადმყოფელმა აღნიშნა რომ საბჭოს თავმჯდომარემ წეილობით უნდა მიმართოს მერიას თუ რა რაოდენობის თანხაა საჭირო და რას მოხმარდება საბიუჯეტო თანხები რომელიც გამოიყოფა ბიუჯეტიდან.
თემური ქოჩიაშვილმა აღნიშნა რომ საჭიორა შეიქმნას პროგრამა სადაც გაწერილი იქნება ის სამუშაოები რომელიც უნდა განახორციელოს საბჭომ სამოქმედო გეგმის ფარგლებში,
გოჩა ვერულაშვილმა აღნიშნა, რომ შევისწავლოთ გენდერულ საკითხებში წარმატებული მუნიციპალიტეტების მაგალითები და მოვახდინოთ მათი გადმოტანა და მორგება ჩვენი მუნიციპალიტეტის საჭიროებებს.

გადაწყვიტეს: უახლოეს დღეებში მოხდეს საბჭოს წევრების შეკრება და ასევე საბჭოს თავმჯდომარე ახლო მომავალში წერილობით მიმართავს თერჯოლის მუნიციპალიეტის მერიას თანხის გამოყოფის შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი

ნინო დოლაკიძე